SMART business

Microsoft Dynamics 365 Business Central

SMART LOCALIZATION

Release Note

v. 2026.01

Published

კონფიდენციალურობის შეტყობინება: ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია და შეიცავს კომერციულ საიდუმლო ინფორმაციას, ამავდროულად წარმოადგენს SMART business-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. არც ეს დოკუმენტი და არც აქ მოცემული ინფორმაცია არ შეიძლება იყოს რეპროდუცირებული ან გამჟღავნებული SMART business-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამ დოკუმენტისა და აქ მოცემული ინფორმაციის გამჟღავნება, კოპირება, გავრცელება ან გამოყენება სასტიკად აკრძალულია.

Contents

1. შესავალი 3
2. SMART Core & Accounting for GE-ის განახლებები 4
3. SMART Payroll-ის განახლებები 11
სისტემის განახლების პროცედურა 15
4. SMART Localization-ის განახლების წესები და პირობები 16

1. შესავალი

დოკუმენტში მოცემულია SMART Localization-ის გადაწყვეტილების ფუნქციონალის გაუმჯობესებები და ცვლილებები, რომლებიც მოცემულია 2026.01 რეგულარულ განახლებაში. განახლება მოიცავს ფუნქციონალის ცვლილებებს 10/01/25-დან 12/31/25-მდე.

პასუხისმგებლობის შეზღუდვა

ამ დოკუმენტის შინაარსი მხოლოდ საინფორმაციოა და წარმოადგენს აღნიშნულ თემაზე SMART business LLC-ის ამჟამინდელ ხედვას გამოქვეყნების თარიღისთვის. ეს დოკუმენტი და მისი შინაარსი არ წარმოადგენს, და არც უნდა იქნას განმარტებული, როგორც SMART business LLC-ის მხრიდან არსებული ვალდებულება. SMART business LLC არ იძლევა გარანტიას მოცემულ დოკუმენტში მოყვანილი ნებისმიერი ინფორმაციის სიზუსტეზე.

შეტყობინება საავტორო უფლების შესახებ

საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვა მომხმარებლის პასუხისმგებლობაა. ამ დოკუმენტის შინაარსი SMART business LLC-ის ინტელექტუალურ საკუთრებას წარმოადგენს. შპს. SMART business-ის, როგორც საავტორო უფლებების მფლობელის, უფლებების შეზღუდვის გარეშე, დაუშვებელია ამ დოკუმენტის ნებისმიერი ნაწილის რეპროდუცირება, შენახვა ან მოძიების სისტემაში შესვლა, ან რაიმე ფორმით ან ნებისმიერი მიზნით გადაცემა (ელექტრონული, მექანიკური, ფოტოკოპირება, ჩაწერა, ან სხვაგვარად), ან რაიმე მიზნით მისი გამოყენება ნებისმიერ სხვა ნაშრომში ან პუბლიკაციაში, შპს. SMART business-ის ოფიციალური წერილობითი ნებართვის გარეშე. ამ დოკუმენტის კოპირება მხოლოდ პირადი გამოყენებისთვის შეგიძლიათ.

SMART business LLC შეიძლება ჰქონდეს პატენტები, პატენტის განაცხადები, სავაჭრო ნიშნები, საავტორო უფლებები ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, რომლებიც მოიცავს ამ დოკუმენტის საგანს. გარდა იმ შემთხვევებისა, რაც პირდაპირ არის გათვალისწინებული SMART business LLC-ის რომელიმე ცალკეულ წერილობით სალიცენზიო ხელშეკრულებაში, ამ დოკუმენტის მიწოდება არ გაძლევთ რაიმე ლიცენზიას ამ პატენტებზე, სავაჭრო ნიშნებზე, საავტორო უფლებებზე ან სხვა ინტელექტუალურ საკუთრებაზე.

© 2022 SMART business. ყველა უფლება დაცულია. აქ ნახსენები კომპანიის და პროდუქტის რეალური სახელები შეიძლება იყოს მათი შესაბამისი მფლობელების სავაჭრო ნიშნები.

2. SMART Core & Accounting for GE-ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#75974	დამატებულია გადათვლა დაკავშირებული ავანსის ვალუტიან დოკუმენტში როდესაც რამდენიმე ვალუტის გადახდა არის დაკავშირებული უკვე დამატებულ დოკუმენტთან, ხოლო დარჩენილი თანხის გამოთვლა ახლა სწორად ხორციელდება გადახდების გამოყენებისთვის.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#77538	ძირითადი საშუალების ბრუნვის ანგარიშგებაში, დაემატა პერსონალიზაციის ფუნქციის მეშვეობით, „ძს დასახელების", „ძს ლოკაციის" და „პასუხისმგებელი თანამშრომლის სახელის" ველების გამოტანის შესაძლებლობა.	ძირითადი საშუალებები	ახალი ფუნქცია
CORE	#77885	თანამშრომლებთან და საბანკო ამონაწერებთან მუშაობის ფუნქციონალის განახლება: თანამშრომლის ბარათს დაემატა ახალი ცხრილი „თანამშრომლის საბანკო ანგარიშების სია", რომელიც შეიცავს თანამშრომლის ბანკის ბარათებს მისი საბანკო ანგარიშების დეტალებით. დანერგილია თანამშრომლის ამოცნობა იმპორტირებული საბანკო ამონაწერიდან, რაც საშუალებას გაძლევთ ავტომატურად განსაზღვროთ თანამშრომლის შესაბამისი გადახდა ამონაწერის იმპორტის დროს. „ბანკის ამონაწერის ბუფერის" ლოკალიზაციის ფუნქციონალი ადაპტირებულია Microsoft-ის 27.1 ვერსიაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#85708	დამატებულია „Linked Column Layout" ველი ფინანსური ანგარიშგების სტრიქონების განმარტების გვერდზე, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს აირჩიონ სვეტის განსაზღვრის ფორმატი, რომელიც გამოიყენება შესაბამისი ფინანსური	კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია

		ანგარიშგებიდან მონაცემების ჩვენებისთვის. განახლებულია რეგლამენტირებული ანგარიშების რეპორტის დამრგვალების ლოგიკა: როგორც მონაცემების ჩვენებისას, ასევე "Recalculate the Data" ფუნქციის გამოყენებისას, ახლა გამოყენებულია დამრგვალების მეთოდი, რომელიც არჩეულია "Amount Measure" ველში.		
CORE	#86891	ცვლილება მოხდა ტრანსფერის მიწოდების გაუქმების კორესპოდენციის შექმნის ლოგიკაში: ასეთი ტრანზაქციის შემთხვევაში, კორესპოდენციის ჩანაწერის შექმნის დროს გათვალისწინებულიაა კორექტირების ატრიბუტი.	საოპერაციო ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია
CORE	#87184	დაემატა ახალი ფუნქცია — #87184, რომელიც საცალო გაყიდვების დღის დახურვის დოკუმენტის დაპოსტვისას უზრუნველყოფს კორესპონდენციის ჩანაწერების გენერირების ახალ ლოგიკას.	საოპერაციო ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია
CORE	#88116	მოიხსნა პრობლემა, როდესაც ბანკის გადახდის ჟურნალში გამოყენებული ფილტრები იხსნებოდა ბანკის გადახდის დაპოსტვისას, როცა გადახდა დაკავშირებული იყო რამოდენიმე ჩანაწერთან.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	შეცდომის გასწორება
CORE	#88548	ლოკალიზაციის ფუნქციონალი ძირითადი საშუალებების მოდერნიზაციის გამოყენებისთვის ადაპტირებულია - Microsoft feature update "Enable multiple users to post item ledger entries and value entries at the same time.	ძირითადი საშუალებები	ახალი ფუნქცია
CORE	#89002	გასწორდა სავალუტო დოკუმენტებში (კონვერტაცია, შეძენა, გაყიდვა) თანხების გაანგარიშების ლოგიკა. „მისაღები თანხის" ველის შეცვლისას, სისტემა ახლა დამატებით ამრგვალებს "გასაგზავნი თანხის" და „საკომისიოს თანხის" ველებში არსებულ მნიშვნელობებს. „გასაგზავნი თანხის" ველის შეცვლისას, „მისაღები თანხის" და „საკომისიო თანხის" ველები შესაბამისად მრგვალდება. დამრგვალება ხორციელდება ვალუტის პარამეტრების, კერძოდ, „თანხის დამრგვალების სიზუსტის" ველის მნიშვნელობის მიხედვით.	ნაღდი და უნაღდო ფულადი სახსრების მართვა	შეცდომის გასწორება

CORE	#89469	გასწორებულია შეცდომა, რომელიც დაკავშირებული იყო „Bank Account Details“ და „Default Dimensions“ გვერდებზე განზომილებების სინქრონიზაციასთან, რის შედეგადაც ბანკის ამონაწერის ამოცნობისას განზომილებები არასწორად ივსებოდა.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	შეცდომის გასწორება
CORE	#89775	გაუმჯობესდა უჯრედების მქონე საწყობების ჩამოწერის აქტებში სტრიქონების შექმნის ფუნქციონალი. იმ შემთხვევებში, როდესაც უჯრედი ცარიელია, „ჩამოწერის აქტის სტრიქონების გენერირების“ ფუნქციის გამოძახებისას ახალი სტრიქონები არ შეიქმნება.	პროდუქციის მართვა	ახალი ფუნქცია
CORE	#89979	ძს-ს ბრუნვის ანგარიშგების გახსნისას, ჯამური თანხის ველები ეხლა ატომატურად სუფთავდება.	ძირითადი საშუალებები	ახალი ფუნქცია
CORE	#89985	მომხმარებლისა და მომწოდებლის ბარათებს დაემატა ახალი განყოფილება „შემომავალი დოკუმენტები“. ასევე, შემომავალი დოკუმენტის შექმნა შესაძლებელი გახდა პირდაპირ კლიენტის ან მომწოდებლის ბარათიდან. შემომავალი დოკუმენტების ძირითად განყოფილებაში უკვე შესაძლებელია დოკუმენტის დალინკვა მომხმარებლის ან მომწოდებლის ბარათთან.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#89986	ფასის ცვლილების დოკუმენტების შექმნისას სტრიქონებში შეიცვალა დღგ-ს პროდუქტის პოსტინგ ჯგუფის და ზოგადი პროდუქტის პოსტინგ ჯგუფის შევსება. ადრე, დღგ-ს პროდუქტის პოსტინგ ჯგუფი ივსებოდა პროდუქტის ბარათიდან, ხოლო ზოგადი პროდუქტის პოსტინგ ჯგუფი - დამატებითი ხარჯის ბარათიდან, ახლა ორივე მათგანი ივსება დაპოსტილი გაყიდვების დოკუმენტის სტრიქონიდან.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#90040	გაუმჯობესდა არასწორად შენახული ფილტრების გასუფთავების მექანიზმი, მარაგების წმინდა თანხის და მარაგების წმინდა რაოდნეობის ანგარიშგებების გენერირების დროს.	საოპერაციო ანგარიშგებები	შეცდომის გასწორება

CORE	#90125	გაუმჯობესდა კლიენტის გადახდის ავტომატური დაკავშირების ფუნქციონალი, როდესაც "გადახდის გაყოფა-პოსტის წინა" პარამეტრი ჩართულია. სისტემა ახლა აღნიშნულ გადახდებს ანაწილებს ავტომატური დაკავშირებისას და ანიჭებს შეკვეთის ნომრებს შესაბამისად.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#90724	გამოსწორდა პრობლემა, როდესაც „დაპოსტილი დოკუმენტის სტრიქონების კორექტირება" ფუნქციის გამოყენებით გაყიდვების კორექტირების ან გაყიდვების დაბრუნების შეკვეთის შექმნისას თანხები უარყოფითი ნიშნით ივსებოდა.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	შეცდომის გასწორება
CORE	#90902	დაემატა HTTP მოთხოვნის ვადის ამოწურვის კონფიგურაციის შესაძლებლობა Excel-ის შაბლონების საშუალებით ანგარიშგებების გენერირებისას. მომხმარებლებს ახლა შეუძლიათ დააყენონ მათზე მორგებული ვადის ამოწურვის მნიშვნელობები Excel-ის ანგარიშგებების აწყობის პარამეტრების გვერდზე, რათა მართონ გარე სერვისის მიმართვის ხანგრძლივობა ვადის ამოწურვამდე.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#91366	გამოსწორდა დარელიზებული შესყიდვის შეკვეთებისთვის გადასახდელი თანხების არასწორი გაანგარიშება, როდესაც „მომწოდებლებზე გადახდების შეთავაზების" ფუნქციაში აქტიური იყო ოფციები:„შესყიდვის შეკვეთების გადახდის შეთავაზება" და „მომწოდებლების მიხედვით შეჯამება".	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	შეცდომის გასწორება
CORE	#92207	დაემატა შესაძლებლობა, გაყიდვების დაბრუნების შეკვეთის გატარებისას დოკუმენტის წყაროდ გამოყენებული იყოს "დაპოსტილი ინვოისი", როცა დაბრუნების ლაინებში არჩეულია რამოდენიმე ინვოისი.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#92678	საავანსო დოკუმენტის ლოკალიზაციის ფუნქციონალი ადაპტირებულია Microsoft-ის 27-ე ვერსიაში დანერგილ ცვლილებებთან. გამოსწორდა პრობლემა, რომელიც წარმოიშვებოდა სტრიქონებში "თანამშრომლის შესყიდვების" შევსების დროს.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია

CORE	#92754	SMART Feature Flags-ში დაემატა ახალი პარამეტრი "#92754 New logic for Suggest vendor payments to adjusts payment amounts", რომლითაც გაუმჯობესდა შემდეგი ფუნქციონალი: ბანკის ჟურნალში მომწოდებლების გადახდების გენერირებას „Suggest Vendor Payments", როდესაც ჩართულია „Summarize per Vendor" პაამეტრი - სისტემა ახლა ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც გადახდის თანხა აღემატება მომწოდებლის დავალიანების დარჩენილ ბალანსს და შესაბამისად ამცირებს გადახდის თანხას, რომელიც გამოიყენება გამოშვებულ (released) დოკუმენტებზე.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#92760	მოიხსნა პრობლემა, რომელიც წარმოიშვა მომწოდებლის შეკრებითი გადახდის დაპოსტვისას, როდესაც პარამეტრებში ჩართული იყო „გადახდის გაყოფა მომწოდებლისთვის".	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	შეცდომის გასწორება
CORE	#92918	Excel-ის შაბლონების გამოყენებით სისტემიდან ანგარიშგებების ექსპორტისას დაემატა მრავალი სურათის ჩასმის შესაძლებლობა.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#93522	შეიცვალა მარაგების მიღების და დაპოსტილი მარაგების მიღების დოკუმენტებში ველების ჩვენება: ველები „ერთეულის ფასი" და „თანხა" სტანდარტულად დამალულია და მათი გვერდზე დამატების შესაძლებლობა გვერდის პერსონალიზაციის გამოყენებით არის შესაძლებელი.	პროდუქციის მართვა	ახალი ფუნქცია
CORE	#93541	გამოსწორდა მარაგების მიწოდების დოკუმენტში სტრიქონების გაყოფის პრობლემა: სისტემა ახლა ითვალისწინებს დოკუმენტის სტრიქონში მითითებულ ვარიანტის კოდს.	პროდუქციის მართვა	შეცდომის გასწორება
CORE	#93619	ძირითადი საშუალების ღირებულების გამოთვლის შეცდომა გასწორებულია. პრობლემა წარმოიშვა რამდენიმე ძირითადი საშუალების მოდერნიზაციის დროს აითემის გამოყენებით, როცა ავტომატური თვითღირებულების დაპოსტვა გამორთული იყო.	ძირითადი საშუალებები	შეცდომის გასწორება
CORE	#95385	გასწორებულია საცალო დაბრუნებაზე კორესპონდენციის ფორმირება, რომელიც გენერირდება დაპოსტილი	საოპერაციო ანგარიშგებები	შეცდომის გასწორება

		ამონაწერის კორექტირების საფუძველზე.		
CORE	#95434	გასწორებულია შეცდომა ბანკის იმპორტის დროს, როდესაც კონტრაგენტის რეგისტრაციის ნომრის ველი აღემატება 20 სიმბოლოს.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	შეცდომის გასწორება
CORE	#95437	გასწორებულია შეცდომა, რომელიც დაკავშირებული იყო ძირითადი საშუალების ამორტიზაციის დოკუმენტის დამატებით ანგარიშგებით ვალუტაში ფორმირებისას.	ძირითადი საშუალებები	შეცდომის გასწორება
CORE	#95905	საერთო აღრიცხვის (G/L) ანგარიშის ბრუნვის ფუნქციონალი გაუმჯობესდა და ადაპტირდა პლატფორმის უახლესი ცვლილებების შესაბამისად: გაფართოებული ბალანსის თანხები ავტომატურად გამოისახება შესაბამისი პარამეტრის ჩართვისას, ხოლო დაპოსტვის თარიღის ფილტრის გამოყენება ველებში „Ending Balance Debit“ და „Ending Balance Credit“ შესწორებულია.	საოპერაციო ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია
CORE	#95934	გამოსწორებულია პრობლემა საქონლის ბრუნვის ცნობარში (რაოდენობრივი აღრიცხვა), რომელიც წარმოიშვებოდა „Bin-უჯრა“ ველის სიგრძის გადაჭარბებისას.		შეცდომის გასწორება
GE	#90106	როდესაც იპოსტება გაცემული კორექტირების ანგარიშ-ფაქტურა, სისტემა ითხოვს მომხმარებლისგან დადასტურებას, თუ სურს, გააუქმოს წინა (პირველადი) ფაქტურის გატარებები და დაპოსტოს მაკორექტირებელი ჩანაწერები. თუ დადასტურდა, სისტემა დარევერსებს მთავარი ანგარიშ-ფაქტურის ჩანაწერებს და გამოიყენებს პოსტინგის თარიღს კორექტირებიდან/დადასტურებული კორექტირებიდან. ასევე, პირველად ფაქტურაზე დარევერსების შემდეგ, პოსტინგის სტატუსი არ განახლდება "დაპოსტილი"-დან "ღია"-ზე. დამატებით, როდესაც პირველად ფაქტურაში სტატუსი არის "დაპოსტილი" და უკვე არსებობს მაკორექტირებელი გატარებები, სისტემა ბლოკავს "პოსტინგის გაუქმება" ღილაკს, იმისათვის რომ არ მოხდეს კორექტირების გატარებების დუბლირებული დაპოსტვა.	დღგ	ახალი ფუნქცია

GE	#93435	გამოსწორდა უსაფრთხოების ფილტრთან დაკავშირებული პრობლემა ნომენკლატურის ბარათის ცხრილის უფლებების ნაკრებებში, რომელიც გამოწვეული იყო იმპორტის დეკლარაციის აპლიკაციით.	სხვა საკითხები	შეცდომის გასწორება
GE	#93534	გამოსწორდა პრობლემა, რომლის გამოც მიწოდების ზედნადების გვერდი იფრიზებოდა, გაყიდვების მიწოდების და საწყობის გადაზიდვის დოკუმენტების დაპოსტვისთანავე გახსნისას.	დღგ	შეცდომის გასწორება
GE	#95367	საქართველოს ბანკთან ინტეგრაციის ფუნქციონალი გაფართოვდა ბანკის მიერ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. საბანკო ბარათის ცნობარზე დაემატა ახალი იმპორტის ფორმატის მნიშვნელობა "GE BOG API v2", რომელიც შესაბამისობაშია ბანკის ბოლო განახლებასთან.	ნაღდი ფულადი სახსრების მართვა	ახალი ფუნქცია

3. SMART Payroll-ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#91776	დაემატა ახალი ხელფასის ფუნქცია #330, რომელიც აბრუნებს თანხებს პერიოდთაშორისი გამოთვლებიდან, რომელთათვისაც არის აქტიური (გაუუქმებელი) გადახდები. მუშაობს საბაზისო თანხის გათვალისწინებით. საბაზისო თანხის პარამეტრებში შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი ტიპის თანხა, დააყენოთ ფილტრი ელემენტის კოდით, გაფილტროთ ელემენტის ჯგუფით ან კონკრეტული ელემენტის კოდით. ფუნქცია პოულობს თანხებს ერთი პერიოდის კოდის ჭრილში.	ხელფასის დაანგარიშება	ახალი ფუნქცია
CORE	#92067	SMART Payroll-ში ადრე არსებული ზოგიერთი ცხრილისა და ველის მონაცემები გადატანილია SMART Core-ში, კერძოდ: 1. SMART Payroll- ის ცხრილი: SMA Employee Bank Account (70950712) → SMART Core: SMA Employee Bank Acc. (70859663) 2. SMART Payroll-ის ველი: Employee."SMA Employee Bank Code" (70950625) → SMART Core: Employee."SMA Empl. Bank Code" (70859601) 3. SMART Payroll-ის EmployeeLedgerEntry."SMA Recipient Bank Account" (70950582) → SMART Core: EmployeeLedgerEntry."SMA Recipient Bank Acc." (70859600) მომავალში მოცემული მონაცემები უნდა იქნას გამოყენებული SMART Core-ის წყაროდან. თუ სისტემაში განხორციელებულია რაიმე მოდიფიკაცია, რომელიც დაკავშირებულია მოცემულ ველებთან, ის უნდა განახლდეს ამ ცვლილების შესაბამისად.	სახელფასო გადახდა	ახალი ფუნქცია
CORE	#90134	„ფიზიკური პირისა" და „თანამშრომლის" ბარათებზე	პერსონალის სია	ახალი ფუნქცია

		დანერგილია ატრიბუტების ფუნქციონალი. აღნიშნული ფუნქცია იძლევა კომპანიის ბიზნეს პროცესებში გამოყენებული დამატებითი მახასიათებლების შენახვისა და მართვის შესაძლებლობას, პერსონალიზაციის გზით დამატებითი ველების შექმნის საჭიროების გარეშე.		
CORE	#89827	განახლებულია თანამშრომლის ჟურნალისა და შვებულების ჟურნალის "დაწყების თარიღის" ვალიდაციის ლოგიკა, კერძოდ: თანამშრომლის ჟურნალისთვის: „ხელფასის კონფიგურაციის სტრიქონების შემოთავაზების" დავალების მეშვეობით სტრიქონების შექმნისას, გაუმჯობესდა გენერირებული ჩანაწერების დაწყების თარიღის განსაზღვრის მექანიზმი. თუ თანამშრომელი დაქირავებული იქნა რეპორტის პარამეტრებში მითითებული დაწყების თარიღის შემდეგ, სისტემა ახლა ავტომატურად ადგენს დაწყების თარიღს თანამშრომლის დაქირავების თარიღის მიხედვით. შვებულების ჟურნალისთვის: კალენდარული წლის მიხედვით დარიცხვის პერიოდის მქონე შვებულების ტიპებისთვის, ვალიდაციის ლოგიკა დარეგულირებულია ისე, რომ შესაძლებელი იყოს მთელი კალენდარული წლის ბალანსის შეყვანა, დაქირავების თარიღის მიუხედავად, იმ პირობით, რომ დაწყების თარიღის წელი ემთხვევა თანამშრომლის დაქირავების წელს.	პერსონალის სია	ახალი ფუნქცია
CORE	#90109	ფიზიკური პირის ბარათზე, ველისთვის "ოჯახური მდგომარეობა", დაემატა ახალი მნიშვნელობა "სამოქალაქო ქორწინება"	პერსონალის სია	ახალი ფუნქცია

CORE	#90898	გასწორებულია დადასტურებულ დაბიუჯეტებულ პოზიციაში ტარიფის ცვლილებისას, პერსონალის ორდერის მეშვეობით, საბაზისო ხელფასის ოდენობის და ყოველთვიური ხელფასის ოდენობის ველების გამოთვლა. ახლა დაბიუჯეტებულ პოზიციაში საბაზისო ხელფასის ოდენობის და ყოველთვიური ხელფასის ოდენობის ველები გამოითვლება კორექტირებული ტარიფის საფუძველზე.	პერსონალის სია	შეცდომის გასწორება
CORE	#91809	დაემატა განმარტებითი შენიშვნა ხელფასის კალენდრის იმ სტრიქონების წაშლისას, რომლებიც უკვე მონაწილეობდა თაიმშიტის სტრიქონების შექმნაში.	დროის უწყისი	ახალი ფუნქცია
CORE	#92452	მოიხსნა შეზღუდვა, რომელიც წარმოიშვებოდა შემაჯამებელი სამუშაო დროის აღრიცხვის კალენდარში ზეგანაკვეთური საათების დამატებისას, როდესაც სამუშაო დღეს, რომელზეც ზეგანაკვეთური სამუშაო საათების დამატება ხდებოდა, ჰქონდა 13 ან მეტი სამუშაო საათი. ადრე სისტემა ითვალისწინებდა მხოლოდ დღეში საათების საერთო რაოდენობას (24 საათი) დროის აქტივობის კოდის გაუთვალისწინებლად, რაც არ იძლეოდა საშუალებას, რომ მთელი სამუშაო დროის განმავლობაში ზეგანაკვეთური საათები სწორად მონიშნულიყო (დამატებულიყო). უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიდგომით მუშაობისთვის, ზეგანაკვეთური სამუშაო დროის აქტივობის კოდის პარამეტრებში, ველში- „ზეგანაკვეთური სამუშაოს დაშვება" უნდა შეივსოს მნიშვნელობით „არა".	დროის უწყისი	ახალი ფუნქცია
CORE	#96031	"შვებულების მოთხოვნის" დოკუმენტში "დაგეგმილი წლის" ველის ფარგლებში გაფართოვდა	გაცდენების ორდერები	ახალი ფუნქცია

		დაკავშირებული ცხრილები, რათა შესაძლებელი იყოს მონაცემების არჩევა ახალი შვებულების გეგმარებაში.		
CORE	#93553	პროგრამა ახლა სტანდარტულად იყენებს განახლებულ შვებულების გრაფიკის ფუნქციონალს. შვებულების გრაფიკის ფუნქციონალის წინა ვერსიის გამოსაყენებლად, თქვენ უნდა ჩართოთ შესაბამისი ფუნქცია, რომელიც ხელმისაწვდომია რომ ჩაირთოს SMART Feature Flag- დან.	გაცდენების ორდერები	შეცდომის გასწორება

სისტემის განახლების პროცედურა

სისტემის განახლება ორი ეტაპისგან შედგება:

- კოდის განახლება
- მონაცემთა განახლება

კოდის განახლება ეხება ობიექტების ცვლილებების მიგრაციას გამოშვებიდან მომხმარებელთა ბაზამდე, რომელიც შესრულებულია ორი ვერსიის ტექსტური შერწყმის გზით.

მონაცემთა განახლება გულისხმობს არსებული მონაცემების შეცვლას იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი გამოშვება ცვლის მონაცემთა სქემას, ან ახალი პარამეტრების შემთხვევაში. არსებული მონაცემები ავტომატურად იცვლება კოდის განახლების დროს მონაცემთა განახლების პროცედურის დაწყების მომენტში. ახალი მოდულების კონფიგურაცია ხორციელდება ხელით.

4. SMART Localization-ის განახლების წესები და პირობები

1. SMART business (შემდგომში „კომპანია“) შეიმუშავებს და განაახლებს SMART Localization-ის გადაწყვეტილებას (შემდგომში „გადაწყვეტილება“) Microsoft Dynamics Partner Localization and Translation Licensing Program (PLLP) განსაზღვრული მოთხოვნებისა და შეზღუდვების შესაბამისად (PLLP).
2. ყოველი კვარტლის პირველ სამუშაო დღეს კომპანია აქვეყნებს გადაწყვეტილების განახლებებს. შემდგომში კომპანია იტოვებს უფლებას შეცვალოს განახლებების გამოშვების სიხშირე.
3. გადაწყვეტილების განახლებები უფასოდ მიეწოდება კომპანიის კლიენტებს, რომლებსაც გააქტიურებული აქვთ გამოწერა ყველა Microsoft Dynamics NAV და Microsoft Dynamics 365 Business Central პროდუქტის ვერსიებისთვის, რომლებიც Microsoft-ის ძირითადი მხარდაჭერის პერიოდის ეტაპზეა. პროგრამული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სანახავად, გადადით ბმულზე https://support.microsoft.com/en-us/lifecycle/search.
4. მომხმარებელთა სისტემა განახლებულია გრაფიკის წინასწარი კოორდინირებით, ასევე მომხმარებლის სისტემებზე განახლებების მიგრაციის სამუშაოების მოცულობით, მათ შორის პარამეტრების განახლებასა და სისტემის ტესტირებაზე და უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს შემდეგი განახლების გამოშვებისა. განახლების გამოშვების სავარაუდო გრაფიკი არის 3 თვეში ერთხელ. განახლება შეიძლება გადაიდოს 3 თვით წინასწარ ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში.
5. ასევე გათვალისწინებულია მომხმარებლის მიერ სისტემის დამოუკიდებლად განახლების შესაძლებლობა. ამ მიზნით, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს განახლებები, მათ შორის რეკომენდაციები პარამეტრებისა და სკრიპტების განახლების შესახებ მონაცემების განახლებისთვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სისტემის მომხმარებლის მოდიფიკაციები შეიძლება შეუთავსებელი იყოს მიღებული განახლების საწყის კოდთან და, შედეგად, სისტემის განახლება ან შესრულებული ცვლილებები უნდა დარეგულირდეს.
6. კომპანიამ უსასყიდლოდ უნდა გამოასწოროს აქტიური გამომწერების და რეგულარულ განახლებებში c.4.-ის შესაბამისად ჩართული მომხმარებლების გადაწყვეტილების შეცდომები.
7. კომპანიამ უნდა წარმოადგინოს ყოველი განახლების ცვლილებების დეტალური აღწერა და გამოაქვეყნოს იგი არაუგვიანეს განახლების გამოშვების თარიღისა.
8. კანონმდებლობის დაუგეგმავი განახლებები ან შეცდომის დაუგეგმავი გასწორება მომხმარებელს მიეწოდება განახლებების გამოშვების სიხშირის მიუხედავად.
9. გადაწყვეტილების სრული განახლება ან მისი ცალკეული ფუნქციური შესაძლებლობების განახლება სისტემის იმგვარი „მოძველებული“ ვერსიისათვის, რომელიც არ შედის Microsoft-ის მხარდაჭერის საბაზო პერიოდში პ.პ.3-ის შესაბამისად, ანდა აქტიური ხელმოწერის არმქონე კლიენტებისთვის, კომპანიის მიერ ხორციელდება იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი განახლება იქმნება

სპეციალურად ამგვარი კლიენტისთვის და, შესაბამისად, შეიძლება კლიენტს გადაეცეს სათანადო ანაზღაურების საფუძველზე.

10. წინამდებარე პირობებიდან ნებისმიერი გადახვევა დოკუმენტირებული უნდა იყოს ხელშეკრულების ფორმით; წინაალმდეგ შემთხვევაში, მოქმედებს ეს წესები და პირობები.